ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2546326

ნომერი: AR1392319

თარიღი : 01.04.2016

გაცემის თარიღი : 18.04.2016

გაცნობის თარიღი : 18.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ იაკობიშვილი პ/ნ 01024002828
- თბილისი ს.ზაქარიაძის ქ. N 10 ბ. 7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 28/01/2016 წლის #2405099 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 01.04.2016 წლის #AR1392319 განცხადებით მომართა თეიმურაზ იაკობაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის 28/01/2016 წლის #2405099 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 28/01/2016 წლის #2405099 ბრძანებით დადასტურდა ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, შპს "ინტერდეკო"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი #01.72.14.019.354) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 22 იანვრის №ბ-108622/07 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათი დასაშვებობა ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.
განმცხადებლის განმარტებით, ბრძანებაში არასწორად არის მითითებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ბრძანების თარიღი და ნომერი. კერძოდ, მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 04 იანვრის №ბ-108615/07 ბრძანების ნაცვლად მითითებული უნდა იყოს - ამავე სამსახურის 2016 წლის 22 იანვრის №ბ-108622/07 ბრძანება. სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა და წარმოდგენილი მასალები შესამამისია სამსახურში დაცულ დოკუმენტაციასთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 28/01/2016 წლის #2405099 ბრძანებაში და მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 04 იანვრის №ბ-108615/07 ბრძანების ნაცვლად დაფიქსირდეს ამავე სამსახურის 2016 წლის 22 იანვრის №ბ-108622/07 ბრძანება. სხვა მონაცემები დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 28/01/2016 წლის #2405099 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.